

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 74.048/3



განსვინანი



უმოვნი

ქა

უმედა

საქმედაბანი 1957 თბილისი

ვლ. გასვიანი

მედიცინის მეცნ. კანდიდატი


უთვი

ლა



უნეკა



საქმედგამი  
თბილისი




5211.



84047 X



საქართველოს  
პარლამენტის  
ფორმის  
შეცვლის შესახებ



# ქუთაისიდან შოვამდე



შოვი ახალგაზრდა კურორტია, იგი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. შოვის შესწავლა და მშენებლობა დაიწყო 1923 წლიდან. მანამდე შოვის მიდამოები იპყრობდა მხოლოდ გარშემო მყოფი სოფლების მცხოვრებთა და ოსეთის სამხედრო გზით მიმავალ მგზავრთა ყურადღებას ბუნების სილამაზით და მინერალური წყლების სიუხვით.

კურორტი შოვი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ზემო რაჭაში. მას უკავია პატარა ვაკე ფართობი, რომელიც გარშემორტყმულია მაღალი მთებით და მუდამ თოვლით დაფარული მწვერვალებით.

შოვში მოხვედრა შეიძლება სხვადასხვა მარშრუტით. მათგან პირველ მარშრუტად ითვლება საავტომობილო გზა ქალაქ ქუთაისიდან, რომელიც მისდევს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირს. გზაზე ერთიმეორეს ცვლის კირქვებისა და პორფირიტებისაგან შემდგარი თვალუწვდენელი სალი კლდეები, ვიწრო ჭალები და კლდეკარები.

147 კილომეტრის მანძილზე (ქუთაისიდან შოვამდე) გვხვდება მრავალი ბუნებრივი და ისტორიული ძეგლი.

ქუთაისიდან, გავცდებით თუ არა სოფელ ჭომას, რომელიც ცნობილია თავისი სასოფლო-სამეურნეო ფერმით (დაარსებულია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, ამჟამად წარმოადგენს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის

საცდელ მეურნეობას), გზიდან მოჩანს რიონჰესის საგუბარო. ცოტა დაშორებით მიმდინარეობს გუმათჰესის მშენებლობა.

ქუთაისიდან 30 კილომეტრზე, გზის პირას, მდებარეობს წიფლარის ხევის ბარიტის სარეცხავი საამქრო, საიდანაც ბარიტის მადანი გადააქვთ საჭაერო-საბაგერო გზით.

სოფელ მექვენასთან, ქუთაისიდან 36 კილომეტრის მანძილზე, მოჩანს ხვამლის მთის კლდოვანი ქარაფები (ციცაბო კლდეები).

200 მეტრის სიმაღლის კირქვის კლდეში გამოკვეთილია თლილი ქვით ამოშენებული ხვამლის ხელოვნური გამოქვაბული. ამ გამოქვაბულის მიღწევა ალპინისტური ტექნიკის გამოყენების გარეშე შეუძლებელია. გამოქვაბული გამოკვეთილია მე-12 საუკუნემდე და როგორც ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, „წარმოადგენდა ქართველ მეფეთა განძთა საფარს შიშიანობის დროს.“

ვახუშტის გადმოცემით, მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში მეფე დავით ულუმ და დავით ნარინმა (რუსუდან დედოფლის და გიორგი ლაშას შვილებმა—თამარის შვილიშვილებმა) „გაიყვეს მეფეთა განძი, დაცული ხვამლისა ქვაბსა შინა და ნაწილი დატოვეს შიგ“. გამოქვაბულში ალპინისტური ჯგუფების ასვლის დროს იქ არ აღმოჩნდა მატერიალური კულტურის არავითარი ნაშთი.

ასეთი ხელოვნური გამოქვაბულები გამოკვეთილია სოფელ ტვიშის კლდეებშიც, რომლებიც ძველად იცავდნენ ვიწრო კლდეკარს მტრის შემოსევისაგან. ამჟამად კი, ამ ადგილის ახლოს, იქ, სადაც რაჭა-ლეჩხუმის გზა იყოფა, გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს დიდი ელექტროსადგურის—ლახანურჰესის ასაგებად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ რაიონის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.


საირმის უღელტეხილის შემდეგ, გზა გადადის ქვიშარის, სადმელისა და ძირაგეულის შედარებით ფართო ჭალებზე. ეს ადგილები ცნობილია, როგორც მევენახეობის შესანიშნავი რაიონი, სადაც მოჰყავთ სახელგანთქმული ხვანჭკარის ღვინო.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



შოვი. სამხედრო მოსამსახურეთა სანატორიუმი.



შოვი. „სოდის წყალი“.

ქუთაისიდან 85 კილომეტრის დაშორებით გზა შედის ცნობილ ხიდიკარის კლდეკარში. აქ, კირქვის ციცაბო კლდეებს შორის, მდინარე რიონი შევიწროებულია ორი ათეული მეტრის სიგანემდე. კლდეკარის შესავალში, მდინარის ორივე მხარეზე აღმართულია შუა საუკუნეებში აგებული სადარაჯო ციხე-სიმაგრე. აქ მე-18 საუკუნეში რაჭის ერისთავს მოწყობილი ჰქონია საბაჟო, რომელსაც მგზავრები გზას ვერ აუქცევდნენ.

ხიდიკარის კლდეკარიდან 2—4 კილომეტრის მანძილზე ვხვდებით ბარაკონის ციხე-სიმაგრეს (სოფელ წესში); ისტორიული ძეგლებიდან აქ დარჩენილია რაჭის ერისთავის სასახლე და მე-18 საუკუნეში აგებული მეტად ლამაზი ბარაკონის ეკლესია, რომელიც ცნობილია თავისი არქიტექტურით. ბარაკონის სასახლეს თავზე დაჰყურებს მდინარე ლუხუნის პირად კლდოვან გორაკზე აგებული ძნელად მისადგომი ციხე თავისი კოშკით.

ბარაკონიდან 6 კილომეტრის დაშორებით, სკორდის კლდეკარში, გამოკვეთილია ხელოვნური გამოქვაბულები, რომელთაც ძველ დროში იყენებდნენ ბარაკონის მისადგომების დასაცავად.

ქუთაისიდან 117 კილომეტრის დაშორებით, რიონის მარცხენა ნაპირზე, გაშენებულია ზემო რაჭის რაიონული ცენტრი—ქალაქი ონი. ეს საკმაოდ ძველი ისტორიული დაბა მდიდარია მუავე წყლებით. ონის მახლობლად, სამხედრო გზის პირას, სოფ. შოუბნის ახლოს, ვხვდებით ტუტე წყლებს, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს კუჭის დაავადების სამკურნალოდ. ტურისტული თვალსაზრისით ონი წარმოადგენს მარშრუტების კვანძს.

აქედან მდინარე ჯეჯორის ლამაზი ხეობით შესაძლებელია დაბა ქვაისაში გადასვლა, აქედან კი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გზა გადადის მეტად ლამაზ მდელოებზე, ერწოს უღელტეხილზე, აქვეა ერწოს ტბა, საიდანაც შესაძლებელია მოკლე გზით ჩასვლა ქალაქ სტალინირში, იქედან





კი—გორსა და თბილისში. ეს გზა უმოკლესი მანძილია თბილისიდან კურორტ შოვამდე.

მეორე გზა ალპინისტურ-ტურისტული ხასიათის ბილიკებით სოფელ ჩასავლიდან მისდევს ჯეჯორის ხეობას სოფელ ლეთამდე. აქედან ძეძოს უღელტეხილით შეიძლება გადასვლა სოფელ ზარომაგში, კარასნის ხეობაში (ჩრდილო-ოსეთი). ჯეჯორის ხეობას თავს დაცქერის თოვლიან-ყინულიანი ნიჟერვალები—საუხოხი, ხალაწა და ზეკარი (რაჭის).

ონიდან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით სოფელ შქმერიდან გზა გადადის საჩხერეში,—ტურისტს შეუძლია ერთი დღის განმავლობაში გადაკვეთოს რაჭის მთების ამწვანებული მდელოები და მოხვდეს ყვირილას ხეობაში.

ონიდან 13 კილომეტრის დაშორებით გაშენებულია ცნობილი სააგარაკო სოფელი უწერა, რომელიც განთქმულია ტუტე-ნახშირმუცა გაზიანი წყლებით. უწერას თავზე დაცქერის ეგრეთ წოდებული „ბროლის მთა“. ამ მთაზე, ქვიშა-ქვების წყებაში მოიპოვება მთის ბროლის კრისტალები; კრისტალების დრუზები ზოგჯერ იწონის რამდენიმე კილოგრამს. „ბროლის მთა“ ადვილი მისადგომია—მასზე ხშირად აღიან ექსკურსანტები. ამ მთიდან იშლება მშვენიერი ხედი რაჭის კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილისა, სადაც აღმართულია ყინულოვანი მთები.

სოფელ უწერის ჩრდილოეთით, გზის პირას დგას „ჭიდრო ციხე“, რომელიც იკავდა სოფელს ჩრდილოეთიდან. ეს სოფელი საინტერესოა დარჩენილი ე. წ. „დუროიანი“ საცხოვრებელი სახლებით, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ ციხე-სიმაგრეებსაც სათოფურებითა და სქელი ასპიდური ფიქლებისაგან აშენებული კედლებით. „დუროიანი“ სახლები შერჩენილია სოფელ ლებშიც.

უწერიდან 6 კილომეტრის დაშორებით, საგლოლოს ხიდან, გზა გადადის რიონის მარცხენა ნაპირზე და წიწვიანი ტყის ზოლით მიჰყვება მდინარე ჭანჭახს შოვის მიმართულებით. მდინარე რიონის ხეობაში მარჯვნივ გაშენებულია

სოფლები ჭიორა და ღები. ტურისტული თვალსაზრისით, ეს კუთხე მეტად საინტერესოა. აქ რაჭის კავკასიონის ქედზე აღმართულია უმაღლესი მწვერვალები—ფასის მთა (3780 მეტრი), გეზე (3880 მეტრი), ედენა (3818 მეტრი), ლაბოდა (4200 მეტრი), წითელი მთა, თაიმაზი, ბურჭულა და რაჭის უდიდესი მყინვარები: ზოფხიტურა, კირტიშო, ციხვარგა და სხვ.

ჭიორიდან და ღებიდან თოვლიანყინულოვანი უღელტეხილით—ღების გადასავალით (3550 მეტრი) და ციხვარგას უღელტეხილის ალპინისტური ბილიკით შეიძლება გადასვლა მდინარე ურუსის ხეობაში. გეზეს გადასასვლელით რიონის სათავეებიდან გზა (ბილიკი) გადადის ჩერეკის ხეობაში, ხოლო ვაცის წვერის გავლით რაჭიდან შეიძლება სვანეთში მოხვედრა. ყველა ეს მაღალმთიანი მარშრუტი საინტერესოა თავისი მრავალფეროვანი პეიზაჟებით, ალპური მდელოებით და თოვლისა და ყინულის სამყაროთი.

საგლოლოს ხიდსა და შოვს შორის მდებარეობს სოფელი გლოლა, სადაც წვეტოვან ბორცვზე აშენებულია ძველთაძველი ეკლესია, ძველი მხატვრობის ნიმუშებით. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ამ სოფლის მოსახლეობა ძველად სახლობდა შოვის ჩრდილოეთით—ბუბის მთაზე. რაჭის ფეოდალს გლოლელები გადმოუსახლებია დღევანდელ ადგილზე, რის გამოც მოსახლეობას 8 წელი უგლოვია; თითქოს აქედან წარმოიშვა სოფლის სახელი „გლოვა“, რომელიც შემდეგ გადაკეთდა გლოლად.

გლოლის სამხრეთით, დოლამისის მწვერვალის კალთებიდან, იშლება შესანიშნავი ხედი მთავარი კავკასიონისა. საკმარისია ტურისტული ბაზიდან დოლამისის მიმართულებით 600—800 მეტრის სიმაღლეზე ასვლა და მოგზაურის წინაშე აღიმართება თოვლით და მყინვარებით დაფარული ბუბისა და თბილისას მწვერვალები, ყარაუგომის პლატოზე ამართული ადაიხოხის და სხვა მწვერვალთა ჯგუფი, რომელიც დასავლეთისაკენ გრძელდება.



გლოლიდან სამი კილომეტრის დაშორებით, ნაძვის, ფიჭვისა და სოჭის დაბურული ტყეებით შემოსაზღვრულ ვაკეზე, გაშენებულ ცნობილი კურორტი შოვი.





შოვი. ხიდი მდ. ბუბაზე.




ქართული  
ბიბლიოთეკა



შოვი. № 1 სანატორიუმი.

# ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა



შოვი მოთავსებულია ალპური ზონის საზღვარზე, 1600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ბუნებრივ სილამაზესთან და ასწლოვანი ხეებით დაბურულ წიწვიან ტყეებთან ერთად აქ ყურადღებას იქცევს მრავალნაირი მინერალური წყლები, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ რაიონის გეოლოგიურ აგებულებასთან. კურორტის ზონა მოქცეულია კავკასიონის მთების სამხრეთ ფერდობზე. მთავარი ქედის იმ ნაწილს, რომელიც აღმართულია კურორტის ჩრდილოეთით, ეწოდება რაჭის კავკასიონი. ეს უკანასკნელი სვანეთის კავკასიონთან ერთად წარმოადგენს მთავარი ქედის შუა და ყველაზე მაღალ ნაწილს. ეს ქედი ბუნებრივი ზღუდეა, რომელიც იცავს დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან.

შოვის საკურორტო ზონის თოვლის მარადიული ხაზის საზღვარი უდრის 3100 მეტრს. მთავარი ქედის დასავლეთი ნაწილისათვის დამახასიათებელია მყინვარების ლანდშაფტი, რომელიც ზოგ ადგილებში ჩამოდის 2800—2200 მეტრამდე.

მყინვარებიდან აღსანიშნავია მუდამ თოვლით დაფარული ბუბის მთა, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს შოვს და მის მიდამოებს.

ბუბისა და ყარაუგომის ყინულოვანი მთები მდებარეობს ჩრდილოეთით და ერთმანეთისაგან ყოფს ჩრდილო და ამიერკავკასიას.

აღმოსავლეთ მხარეს ამშვენებს მამისონის ყინულოვანი მთა, საიდანაც იწყება მდინარე ჭანჭახი. მამისონის მთის



აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მდებარეობს მწვერვალები: ბუბა, ღვიორა, ჩხონჩა, დოლომის წვერი და ბოლოს — შოვის ყინულოვანი მთებიდან ყველაზე ლამაზი — შაქრისთავი და კატიწვერა.

დასავლეთით აღმართულია მუდამ ყინულით დაფარული მაღალი მთა შოდა, რომელიც უერთდება კავკასიონის ქედს.

კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობებიდან სათავეს იღებს მთის მრავალი მდინარე, რომელნიც უერთდებიან მდინარე რიონს. მათი სათავე იწყება მუდმივი თოვლისა და მყინვარების ზონაში. ამ მდინარეების ცივი, ანკარა წყალი მდიდარია გემრიელი კალმახით.

რაჭის კავკასიონის თოვლიანკლდოვანი მწვერვალები ცნობილია გარეული ცხოველებითაც. აქ ბინადრობენ კავკასიის ჯიხვები; ზოგჯერ გვხვდება არჩვებიც. ჯიხვების პატარ-პატარა ჯოგები სალამოობით ჩამოდებიან ალპურ მდელოზე საბალახოდ და მინერალური წყლების (ვეძა) დასალევად, სადაც, ჩვეულებრივ, გარიჟრაჟამდე რჩებიან.

ალპურ მდელოებზე ჭუკჭუკებენ შურთხები (მთის ინდაურები), როჭო და გარეული ქათმები. ტყიან ზონაში ხშირად გვხვდება მურა დათვი და მელა; ხშირია კურდღლები, რომლებიც გამოდიან კურორტის ირგვლივ მდებარე მინდვრებზე.

რაჭის კავკასიონის პარალელურად გაწოლილია შოდა-კედელას ქედი; იგი რაჭის კავკასიონზე ოდნავ დაბლა მდებარეობს, მაგრამ მისი საშუალო სიმაღლე მაინც თოვლის ხაზზე მაღლა ძევს, რის გამო ამ მთების მწვერვალები მუდამ თოვლითაა დაფარული. ზამთრის სეზონში ბაკურიანის შემდეგ შოვი წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან საზამთრო სათხილამურო სადგურს თავისი სუფთა, ჯანმრთელი ჰავით და თოვლის საბურველით.

ორივე ქედის ფერდობი დაახლოებით 1900 მეტრის სიმაღლეზე მთლიანად დაფარულია თვალუწვდენელი ტყეებით. ტყის ზოლი 2000 მეტრის სიმაღლის შემდეგ გადადის ალპურ ზონაში. ალპური ზონა 2700—3.000 მეტრის სიმაღლის შემდეგ მთავრდება თოვლის ზონით.

მიუხედავად იმისა, რომ კურორტი შოვი გარემოცულია მაღალი მთებით, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-და-

სავლეთის მიმართულებით მისი ჰორიზონტი გახსნილია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს შოვის კლიმატზე.

შოვის საკურორტო კომბინატის შემადგენლობაში შედის შესანიშნავი ბალნეო-კლიმატური კურორტი უწერა და საკურორტო სოფლები—გლოლა და ჭიორა. ამ ტერიტორიის ორი მესამედი ნაწილი უჭირავს ტყეს, დანარჩენი კი საძოვრებსა და მყინვარებს.

შოვიდან მამისონის უღელტეხილის მიმართულებით 16 კილომეტრის მანძილზე გზა გადის ტყეებით დაბურულ კალთებზე; წიწვიანი ტყის ჯიშებიდან გვხვდება სოჭი, ფიჭვი, ნაძვი; ფოთლოვანი მცენარეებიდან—წიფელა, რცხილა, თხმელა, მუხა, არყი, შინდი და სხვ.

მცენარეების ასეთი მრავალფეროვნების გამო შოვის მიდამოები მეტად მიმზიდველია.

სოფელ ლურშევიდან იწყება აღმართები, საიდანაც გზა იკეცება და მიემართება ალპური საძოვრებისაკენ, მამისონის უღელტეხილამდე (2850 მეტრი). ვრცელი ამფითეატრისებური მოვაკება მამისონის უღელტეხილის წინ ამოვსებულია მყინვარული ლოდებით და ნალექებით.

ვაკეზე აგებულია ტურისტული ქოხი (ე. წ. სამხრეთის ქოხი), თვით უღელტეხილი წარმოადგენს შეუმჩნეველ ამალღებას. უღელტეხილზე მუშაობს მეტეოროლოგიური სადგური. ჩრდილოეთით გზა ეშვება ნაზად დახრილი ალპური მდელოებით შემოსილ ფართობზე ჩრდილოეთის ქოხამდე, რომელიც აგებულია გზის პირზე, უღელტეხილიდან 15 კილომეტრის დაცილებით და თავზე დაცქერის ზარომაგის ხეობაში გაშენებულ ჩრდილო-ოსეთის სოფელ ქალაქას.

ცხადია, მარტო გეოგრაფიული აღწერილობით ძნელია შოვის სილამაზის წარმოდგენა; მისი გადმოცემა მხოლოდ კარგი მხატვრის ყალამს თუ შეუძლია. დამსვენებლები და მნახველები აღფრთოვანებაში მოჰყავს შოვის სილამაზეს. შოვი ერთ-ერთი უმშვენიერესი, თვალწარმტაცი ადგილია საქართველოში. ვის არ მოხიბლავს შოვის ლამაზი ტყეები, მაღალი, ყინულოვანი მთები და იქიდან მოჩუხჩუხე ანკარა მდინარეები, მუდამ კაშკაშა ცა და სურნელოვანი ჰაერი. შოვი





მისი ყველა საუკეთესო სამკურნალო თვისებით ჩვენს ქვეყნის ერთ-ერთი შესანიშნავი კურორტია.

ვის არ ნახავთ აქ დასასვენებლად მოსულს: მოსკოველს, ლენინგრადელს და ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლებს, საკოლმეურნეო მინდვრების, ფაბრიკა ქარხნების ნოვატორებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. აი, რას ამბობს შოვის შესახებ თავის ლექსში სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც ისვენებდა ამ კურორტზე 1947 წელს.

„აივსო ჩემი მყუდრო მაგიდა  
ახალ ლექსებით და ყვავილებით,  
იმ ხეივანის მუხა და ფიჭვი  
მე მიფარავდნენ მზიურ ჩრდილებით,  
გამხნევებული ვარ ამ ზაფხულის  
დაუვიწყარი შთაბეჭდილებით“.

განსაკუთრებით მოხერხებულმა მდებარეობამ (ოსეთის სამხედრო გზა), მამისონის გადასასვლელთან უშუალო სიახლოვემ, მაღალი მთის კლიმატმა, მზის განსაკუთრებულმა რადიაციამ, ირგვლივ წიწვიანი ტყეების მასივების არსებობამ, მყინვარების ლანდშაფტებმა, მინერალური წყლების და მთის მოჩუხჩუხე ანკარა მდინარეების სიუხვემ ხელი შეუწყო შოვის, როგორც კურორტის, საფუძვლის ჩაყრას. წინასწარ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ჩატარების შემდეგ დაიწყო კურორტის მშენებლობა და 1928 წლიდან შოვი გადაიქცა რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად. იმავე წელს იგი გადაეცა საქართველოს სსრ კურორტთა მთავარ სამმართველოს. ამ დროიდან შოვის კეთილმოწყობა ყოველწლიურად უმჯობესდება. გაიშალა საკურორტო მშენებლობა, ჩატარდა დიდი სამუშაოები კურორტის ჰიდრო-გეოლოგიური შესწავლისათვის და რქსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებები ორგანიზმზე შოვის კლიმატისა და მინერალური წყლების გავლენის დასადგენად.


მიღებული მასალების საფუძველზე შოვი მიჩნეულ იქნა კლიმატურ-ბალნეოლოგიური პროფილის კურორტად.

კურორტის ცენტრში დგას ქართული სტილის ორნამენტებით გაფორმებული მაღალკოშკიანი კურხალის შენობა. დასავლეთით ლამაზ გორაკზე აღმართულია № 1 სანატორიუმის ოთხსართულიანი შენობა 100 საწოლით. სანატორიუმის ყოველ ოთახს აქვს ღია ვერანდა თვალწარმტაცი ხედით. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფიჭვის ტყესთან მდებარეობს № 2 სანატორიუმი 60 საწოლით. სამხრეთით, ტყის პირას, ოსეთის სამხედრო გზასთან აგებულია კიდევ ერთი 100 საწოლიანი კეთილმოწყობილი სანატორიუმი. მდინარე ბუბას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს 12 ოთახიანი სასტუმრო. კურორტისაგან განცალკევებით მოწყობილია ტურისტთა ბაზა. აღნიშნულ შენობათა გარდა, კურორტის ტერიტორიაზე გაფანტულია 14 ორსართულიანი სააგარაკო სახლი 42 ოთახით. უკანასკნელ წლებში აიგო 50 საწოლიანი დასასვენებელი სახლი სარეწაო კოოპერაციის მუშაკთათვის. კურორტის ცენტრში აღმართულია ორსართულიანი სახლი დამსვენებელთათვის. აქვეა თანამშრომელთა საცხოვრებელი ბინები, პოლიკლინიკა თერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურის, სტომატოლოგიური კაბინეტებით და კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიით, სანიტარული სადგური, აფთიაქი.

კურორტს მომსახურეობას უწევს: კულტურისა და დასვენების პარკი კლუბით, ბიბლიოთეკით, კინოესტრადით და კიოსკებით; ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, შემნახველი სალარო, ავტოტრანსპორტის სადგური, ჰიგიენური აბანო, სამრეცხაო. კურორტის ერთ ნაწილში მოწყობილია კანალიზაცია, არსებობს მეტეოროლოგიური სადგური, ჰიდროელსადგური, წყალსადენი, პურის საცხობი და სხვ.

სანატორიუმები და კურორტის დამხმარე შენობები ერთმანეთს უკავშირდება კეთილმოწყობილი საკურორტო გზატკეცილით.





ამა თუ იმ ადგილის კლიმატს განსაზღვრავს გეოგრაფიული მდებარეობა, მცენარეული საფარველი, ადგილის რელიეფი, ნიადაგის თვისებები, მზის სხივოსნობა და სხვ.

კლიმატის შეფასების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზის ნათების ხანგრძლიობას.

კლიმატური კურორტის ჰაერი უნდა იყოს სუფთა, არ შეიცავდეს მტვერს, კვამლს და ავადმყოფობის გამომწვევ ბაქტერიებს. მას უნდა ახასიათებდეს ტემპერატურის მცირე რყევადობა, რადგან სიცივისა და სიბოხის სწრაფი ცვლა უარყოფითად მოქმედებს ავადმყოფის ორგანიზმზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჰაერის ტენიანობას. მაგალითად, მაღალი ტენიანობის დროს ადგილი აქვს სითბოს ცვლის შეფერხებას ადამიანის ორგანიზმსა და გარემოს შორის.

კლიმატის სამკურნალო თვისებებს განსაზღვრავს აგრეთვე ჰაერის მოძრაობის სიჩქარე (ქარები), ნალექების რაოდენობა, ატმოსფერული წნევა და ელექტრობის არსებობა ჰაერში. ჰაერის მცირე მოძრაობა ხელს უწყობს მის გაბინძურებას. ძლიერი ქარი კი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე—იწვევს მისი ნერვული სისტემის გაღიზიანებას.

დაბალი ატმოსფერული წნევის პირობებში, როდესაც ჰაერი გაიშვიათებულია, ადამიანი ღრმად სუნთქავს, რაც იწვევს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას.

შეიძლება ითქვას, რომ შოვი თავისი კლიმატური მონაცემებით მალა დგას მსოფლიოში ცნობილ მაღალი მთის კურორტებზე — დავოსზე, ლეიზენზე, აროზაზე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ შოვი მაღალი მთის კურორტია, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო იგი დაცულია ქარებისაგან. მისი საერთო რელიეფი, მდებარეობა, სიმაღლე და ბუნება კლიმატთან ერთად ადამიანისათვის ქმნის კომფორტულ პირობებს.

ტერიტორიის სხვადასხვაობასთან დაკავშირებით შოვის კლიმატი მრავალფეროვანია. აქ ვხვდებით ხეობის, პლატოს, ალპური ველების, ტყის და გაშლილი მინდვრების კლიმატის ელემენტებს.


შოვის ქვიშიანი ნიადაგის სტრუქტურა და ფიზიკური თვისებები ხელს უწყობს სითბოს და ტენიანობის ნორმალურ ცვლას. შედარებით მცირე ნალექი, რომელიც შოვში მოდის, იფილტრება ქვიშიან ნიადაგში. ქვიშიანი ფენა ძლიერ ჩქარა შრება, რის გამოც შოვში თითქმის სრულებით არ იცის ტალახი. ნიადაგის სტრუქტურა და მცენარეული საფარველი უზრუნველყოფს ჰაერის სისუფთავესაც.

შოვის ჰავა შედარებით თბილი და საშუალოდ ტენიანია. მთიან ადგილებში დიდი კლიმატური მნიშვნელობა აქვს ფიონების მოქმედებას, რომლებიც ეშვებიან მთის მწვერვალებიდან (ფიონი ეწოდება თბილ და მშრალ ქარს, რომელიც მთებიდან დაბლობში ეშვება).

კავკასიონის ქედი თავისი მდებარეობით გზას უჭრის ჰაერის იმ მასებს, რომლებიც მოედინება განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან; როდესაც ეს დინება შეეხება კავკასიონის ჩრდილო კალთებს და მალა აყვება ხეობებს და ქედებს, იგი ცივდება. მიაღწევს რა მაღალ მწვერვალებს, ჰაერის მასები იწყებს დაღმა დენას, რომლის დროს თბება და შორდება გაქვნილობის საზღვარს.

შოვის საკურორტო ზონა იმყოფება ფიონების გავლენის ქვეშ და მდებარეობს ჰაერის მასების მოძრაობის იმ გზაზე, რომლებიც გადმოლახავენ კავკასიონის ქედებს. შოვის პირო-

74.048  
1125





ბებში ფიონები მოქმედებენ გამათბობლად და ამავე დროს გავლენას ახდენენ ჰაერის ტენიანობაზე—აქვეითებენ მას.

შოვის ჰორიზონტის გაშლილობა განსაზღვრავს მზის პირდაპირი მოქმედების ხანგრძლიობას და ჰაერის დინების მიმართულებას.

შოვი ეკუთვნის მაღალ მთიან საკურორტო ზონას. ბარომეტრული წნევა აქ საშუალოდ შეადგენს 630 მმ. მიუხედავად მისი მაღალი მდებარეობისა, კურორტი ხასიათდება სითბოს უხვი ბალანსით. როგორც ცნობილია, მზე წამყვანი ბიოკლიმატური ფაქტორია და ამის გამო მისი ნათების ხანგრძლიობა და რადიაციის დაძაბულობა განსაზღვრავს ამათუ იმ კურორტის კლიმატურ მნიშვნელობას.

მეტეოროლოგიური სადგური შოვში მოეწყო 1928 წ. სადგურის დაკვირვებების მიხედვით მზის ნათების ხანგრძლიობა წლის განმავლობაში აქ შეადგენს 2100—2150 საათს, რომელიც სეზონების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: ზამთარი—340 საათი; გაზაფხული—520 საათი; ზაფხული—700 საათი; შემოდგომა—540.

კურორტ შოვის უპირატესობა სხვა კურორტებთან მზის ნათების ხანგრძლიობის მხრივ აშკარად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან, რომელშიც მოცემულია შოვის, აბასთუმნის, დავოსის, აროზას და ბაკურიანის მზის ნათების ხანგრძლიობა წლის სხვადასხვა დროს.

წლები	შოვი	აბასთუმანი	დავოსი	აროზა	ბაკურიანი
1930 წელი, აპრილიდან დეკემბრამდე	1580	—	1289	1382	1678
1931 წელი, იანვრიდან დეკემბრამდე	2100	1907	1768	1934	1901

მზის უშუალო მოქმედება შოვში იწყება ზაფხულის თვეებში და გრძელდება დილის 6 საათიდან საღამოს 7—8 საათამდე.

შოვში წლის საშუალო ტემპერატურა აღწევს  $5^{\circ}$ -დან  $6^{\circ}$ -მდე; ზაფხულის საშუალო ტემპერატურა დაახლოებით უდრის  $14-16^{\circ}$ . ზამთრის ტემპერატურა შედარებით მაღალია ფიონების მოქმედების გამო; ზამთრის პერიოდს დამატებით ახასიათებს ჰაერის შედარებითი სიმშრალე და თითქმის იდეალური გამჭვირვალობა.

ასეთი კლიმატური მონაცემები დადებითად წყვეტს ამ კურორტის გამოყენების საკითხს მთელი წლის განმავლობაში.

კურორტის ზონაში ნალექები აღწევს  $1000-1100$  მმ. მათი უმეტესი ნაწილი მოდის გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე; შოვში წვიმიანი პერიოდები ხანმოკლეა და იშვიათად გრძელდება  $2-3$  დღე; უმეტესად კი წვიმა სეზონის განმავლობაში რამდენიმე საათი გრძელდება. წვიმიანი დღეების რაოდენობა ზაფხულის სეზონში არ აღემატება  $20-25$ . ზამთრის ნალექებს უმთავრესად შეადგენს თოვლი, რომლის სიმაღლე საშუალოდ აღწევს  $50$  სმ.

შოვის მიდამოები მთლიანად იფარება თოვლით ნოემბრის დამლევიდან და თავისუფლდება საბურველისაგან მარტის შუა რიცხვებში.

წლიური საშუალო ფარდობითი ტენიანობა<sup>1</sup> შოვში  $13$  საათისათვის უდრის  $58\%$ ; საღამოს და ღამის საათებში ტენიანობა შედარებით მატულობს, რის გამოც წლიური საშუალო ტენიანობა აღწევს  $77\%$ . ტენიანობის მაჩვენებლებზე ნაწილობრივ გავლენას უნდა ახდენდეს ის გარემოება, რომ შოვის მეტეოროლოგიური სადგური მდებარეობს შედარებით ნესტიან ადგილზე.

შოვის კლიმატის შედარებითი სიმშრალე უმთავრესად ადგილობრივი ქარების მოქმედების შედეგია, რაც შოვის პირობებში ხშირად იღებს ფიონისებურ ხასიათს. ქარების

<sup>1</sup> ფარდობითი ტენიანობა ეწოდება ჰაერში არსებულ წყლის ორთქლის რაოდენობას, გამოხატულს  $\% \%$ -ში წყლის ორთქლის იმ ზღვრული რაოდენობის მიმართ, რომელიც შეიძლება არსებობდეს გარკვეული ტემპერატურის ჰაერში.

მიმართულება წლის დროის მიხედვით ასე იცვლება: ზამთარში (იანვარში) უპირატესად ქრის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები, რომელთა სისწრაფე საშუალოდ უდრის 0,5 მეტრს წამში, უფრო სუსტად ქრის სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის ქარები. ივლისში გაბატონებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის ქარები, რომელთა საშუალო სისწრაფე შეადგენს 0,5 მეტრს წამში.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ქარები დადებით გავლენას ახდენს ჰავაზე, რაც შეეხება დასავლეთის ქარებს, მათ კურორტის ზონაში შემოაქვთ ზღვის ჰავის ელემენტები; ამას ხელს უწყობს ამ მხარეში გაბატონებული მთა-ბარის ქარი (მთის ნიავი), მთა-ბარის ქარი დღის განმავლობაში ქრის ბარიდან მთებისაკენ, ღამით—მთებიდან ბარში. საერთოდ, ქარების სისწრაფე აქ საშუალოდ უდრის 1,0 მეტრს წამში.





შოვი. კურორტის ერთერთი კუთხე.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



შოვი. № 2 სანატორიუმი.



შოვი ცნობილია არა მარტო თავისი კლიმატით და ლა-  
შაზი ბუნებით, არამედ მინერალური წყლებითაც. კურორტის  
ტერიტორიაზე და მის ახლოს ამჟამად ცნობილი და გამოკ-  
ვლელა 13 მინერალური წყარო. შოვის მინერალური  
წყლები შესანიშნავია შემადგენლობით, სასიამოვნო გემოთი  
და დაბალი ტემპერატურით.

საერთოდ, მინერალური წყალი ეწოდება ისეთ წყალს, რომ-  
ელიც შედარებით დიდი რაოდენობით შეიცავს გაზებს და  
მარილებს ან რომლის ბუნებრივი ტემპერატურა აღემატება  
20°. მინერალურ წყალს ეკუთვნის აგრეთვე ისეთი წყალი,  
რომელიც შეიცავს ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ელემ-  
ენტის განსაზღვრულ რაოდენობას, მაგალითად, 10 მგ-ზე  
მეტ რკინას, 1 მგ-ზე მეტ დარიშხანს, 10 მგ-ზე მეტ ბრომს,  
იოდს და სხვ. ერთ ლიტრ წყალში.

მინერალური წყლები ტემპერატურის მიხედვით შეიძლება  
იყოს ცხელი, თბილი და ცივი. ჩვეულებრივ, რაც უფრო მე-  
ტი სიღრმიდან ამოდის წყალი, მით უფრო მაღალია მისი  
ტემპერატურა. ყველაზე ცივ წყლად ითვლება იმიერ-ბაიკა-  
ლის ოლქში ალენტუის წყალი, რომლის ტემპერატურა არ  
აღემატება 1°, ყველაზე ცხელ წყლებად კი — კამჩატკის მი-  
ნერალური წყლები, რომელთა ტემპერატურა აღწევს 100°.  
საქართველოში ცაიშის წყლის ტემპერატურა 81°C აღწევს.

რაც უფრო მეტად უახლოვდება სამკურნალო წყლის ბუ-  
ნებრივი ტემპერატურა იმ ტემპერატურას, რომლის დროსაც

იგი იხმარება აბაზანების სახით ან სასმელად, მით მალაქია მისი სამკურნალო ღირსება. ასეთ წყალს თერაპიული გამოყენების დროს არ ქირდება გათბობა ან გაცივება, რაც უზრუნველყოფს მის ბუნებრივ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა მთლიანად შენარჩუნებას.

ჩვეულებრივ, მინერალური წყალი უფეროა, მაგრამ მასში გახსნილი ზოგიერთი ნივთიერება ხშირად ცვლის წყლის ბუნებრივ ფერს. მაგალითად, გოგირდის ნაერთები წყალს აძლევენ მოყვითალო ფერს. ზოგჯერ მინერალურ წყალს ნადაგიდან ამოსვლის დროს ამოყვება თიხის, ქვიშის და სხვა წვრილი ნაწილაკები, რომლებიც ამღვრევს მას და უკარგავს გამჭვირვალობას. მინერალური წყლების ელემენტთა შორის ქიმიური რეაქციის შედეგად ხშირად ხდება ზოგიერთი ქიმიური ნაერთის გამოყოფა მარილებისა და სხვადასხვა ფერი ნალექის სახით.

მინერალური წყლის გემო დამოკიდებულია მისი ქიმიური შემადგენლობისაგან. თავისუფალი ნახშირმჟავა გაზის დიდი რაოდენობით შემცველი წყალი სასიამოვნო მომჟავო გემოს იძლევა ამით აიხსნება, ალბათ, რომ ხშირად ჩვენში ხალხი მას მჟავე წყალს უწოდებს.

ქლორნატრიუმის შემცველ წყლებს მლაშე გემო აქვს, რკინიან წყლებს კი — მწკლარტე გემო და სხვ.

თუ წყალი დიდი რაოდენობით შეიცავს თავისუფალ გოგირდწყალბადს, მას უსიამოვნო სუნე აქვს.

მინერალური წყლის ხვედრითი წონა ყოველთვის უფრო მაღალია ჩვეულებრივ რბილ წყლებთან შედარებით და მართულობს წყლის მინერალიზაციის ზრდასთან ერთად. ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა აქვს ქლორნატრიუმიან წყლებს.

შოვის მინერალური წყლები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ძირითადად ერთი ტიპისაა. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმს, მაგრამ ამავე დროს ცალკეული წყაროს წყალი განსხვავდება საერთო მინერალიზაციით და სხვა კომპონენტების<sup>1</sup> (ნატრიუმი, რკინა და სხვ.) თვისობ-

<sup>1</sup> შემადგენელი ნაწილები.

რივი და რაოდენობრივი შემადგენლობით. მაგალითად, № 1 წყაროს წყალი, რომელიც მდებარეობს ბარის თავზე, კურორტის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით და აგრეთვე მისგან ათიოდე მეტრით დაშორებული № 2 წყაროს წყალი შეიცავს ნატრიუმის საგრძნობ რაოდენობას. მათ ადგილობრივ უწოდებენ რკინის წყალს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელწოდება არ არის სწორი, რადგან რკინა მათში მცირე რაოდენობით მოიპოვება. უფრო სწორი იქნებოდა მათთვის გვეწოდებინა ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანი წყალი.

№ 1 წყაროს წყალი ხასიათდება ტემპერატურის, მინერალიზაციისა და დებიტის მუდმივობით. ამ წყაროს ახლოს მდებარე № 2 წყარო მოუვლელია, ადგილი აქვს ატმოსფერული ნალექების გაჟონვას ნიადაგში და მინერალურ წყალთან შერევას, რის გამოც წვიმიან ამინდში ამ წყლის მინერალიზაცია მცირდება. ამითვე უნდა აიხსნას მასში მაგნიუმის არსებობა.

აღსანიშნავია № 11 წყარო, რომელიც მდებარეობს ტურბაზის ქვემოთ, მდინარე ჭანჭახის მარცხენა ნაპირზე. ამ წყალში ნატრიუმის რაოდენობა ქარბობს კალციუმის რაოდენობას, რითაც ის განსხვავდება წყაროების წყლისაგან. მასში საკმაოდ დიდი რაოდენობით შედის რკინაც, ამიტომ სწორი იქნება მას ვუწოდოთ ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატ-ნატრიუმ-კალციუმ-რკინიანი წყალი.

№ 1, 2 და 11 წყაროს წყლები შეიცავენ ნახშირმჟავა გაზის ყველაზე მეტ რაოდენობას, სახელდობრ—1,9—2,2 გ ერთ ლიტრ წყალზე.

სხვა წყაროებიდან აღსანიშნავია № 8 წყარო, რომელიც მდებარეობს ელსადგურის წინ, ხიდის ზემოთ, ოსეთის სამხედრო გზის მარჯვნივ. თავისი შემადგენლობით ის კალციუმიანი წყალია. ნატრიუმი მასში შედარებით მცირე რაოდენობითაა, მაგრამ შეიცავს რკინის საკმაოდ რაოდენობას. ამიტომ სწორი იქნება ვუწოდოთ მას ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატ-კალციუმ-რკინიანი წყალი.

დანარჩენი მინერალური წყლები შეიცავს კალციუმის სხვადასხვა რაოდენობას და, ამგვარად, ძირითადად, ყველა წარმოადგენს კალციუმიან წყლებს. მათ მიეკუთვნება № 3 წყარო (ბარის თავზე) № 1 წყაროს მახლობლად, № 12 წყარო სოფ. გლოლაში წისქვილის ზემოთ და აგრეთვე № 4 და № 10 წყაროები.

მდინარე ჭანჭახის მარჯვენა ნაპირზე, კურორტის პოლიკლინიკის წინ მდებარე № 5 წყარო ცნობილია „სოდის წყლის“ სახელით; იგი არ ამართლებს თავის სახელწოდებას, რადგანაც წარმოადგენს ტიპურ კალციუმიან წყალს. ამავე ტიპის წყალს ეკუთვნის № 13 წყარო სოფ. გლოლაში, ოსეთის სამხედრო გზის მარცხენა მხარეზე, რომელიც ადგილობრივ ცნობილია კუჭის წყლის სახელწოდებით.

№ 7 წყარო, რომელიც მდებარეობს სასტუმროს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. ბუბას მარჯვენა ნაპირზე, ცნობილია რადიოაქტიური წყაროს სახელწოდებით, თუმცა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასში რადიოაქტივობა ძალიან მცირეა. ასეთივე ტიპის წყლებს მიეკუთვნება № 6 და № 9 წყარო, რომელთაც ზოგადად შეიძლება ვუწოდოთ დაბალი მინერალიზაციის წყლები; დაახლოებით ასეთივე შემადგენლობა ახასიათებს შოვის მდინარეების წყლებსაც. მათი გამოყენება წარმატებით შეიძლება სასმელად და სამეურნეო საჭიროებისთვისაც.

შოვის მინერალური წყლები სამკურნალო დანიშნულების მიხედვით ძირითადად შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად:

I. ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატ-კალციუმ-ნატრიუმიანი წყლები (№№ 1, 2 და 11 წყაროები). ამ ჯგუფიდან ცალკე უნდა აღინიშნოს წყარო № 11, რომელიც ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს ნატრიუმს და რკინას.

II. ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატ-კალციუმიანი წყლები (№№ 3, 4, 5, 8, 10, 12 და 13 წყაროები).

ამ ჯგუფიდან აღსანიშნავია წყარო № 8, რომლის წყალს პირობით შეიძლება ეწოდოს რკინიანი წყალი, რადგან ის ყველაზე მეტ რკინას შეიცავს სხვა წყაროების წყლებთან შედარებით.

რაც შეეხება № 6, 7 და 9 წყაროებს, მათი წყლები დაბალი მინერალიზაციის გამო სამკურნალოდ არ იხმარება და წარმოადგენს რბილ სასმელ წყლებს.

შოვის მინერალურ წყლებს ქიმიური შემადგენლობის მიხედვით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ და ამიტომ ძნელია მათი ჩათვლა სხვა რომელიმე ცნობილი წყლების სრულ ანალოგად; თუმცა ისინი ემსგავსებიან საირმის, ჟელეზნოვოდსკის და აგრეთვე ვილდუნგენის (გერმანია) ზოგიერთ წყალს, მაგრამ ნატრიუმის რაოდენობა აღნიშნულ წყლებში უფრო მეტია, ვიდრე შოვის წყლებში. უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან საირმეს № 1 წყარო, ვილდუნგენი და შოვის № 11 წყარო. ვილდუნგენის წყალში საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება მაგნიუმი, ქლორი, რაც შოვის წყლებში მცირეა. ჟელეზნოვოდსკის (სმირნოვის) წყალი კი ჭარბად შეიცავს სულფატს. შოვის წყლები დიდი რაოდენობით შეიცავს კალციუმსა და რკინას, რაც ზრდის მათ თერაპიულ ღირსებას ტუბერკულოზისა და, განსაკუთრებით, სისხლნაკლულობის მკურნალობის საქმეში.

თავისუფალი ნახშირორჟანგის მიხედვით შოვის წყლებს უპირატესობა აქვთ საირმისა და, სმირნოვის წყლებთან შედარებით.

კურორტისათვის მინერალური წყლების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მტკნარ სასმელ წყალსაც. კურორტი შოვი ამ მხრივაც გამოირჩევა ცივი მდინარეებით, ნაკადულებით და წყაროებით. მდინარეებიდან აღსანიშნავია ჭანჭახი, ჩხოკყურა, ბუბის წყალი და მათი მრავალი პატარა შენაკადი.





შოვი ეკუთვნის იმ კურორტთა ჯგუფს, რომელშიც მთის კლიმატთან შესანიშნავად არის შეხამებული სამკურნალო მნიშვნელობის წყლები.

კურორტ შოვის სამკურნალო ფაქტორები არ არის სათანადოდ შესწავლილი, მაგრამ ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგები და სხვადასხვა დროს მომუშავე პრაქტიკოს-ექიმთა დაკვირვება საკმარისად ასაბუთებს კურორტის სამკურნალო ღირსებას.

მ. ლეჟავას ექსპერიმენტული დაკვირვებებით გამოირკვა, რომ საჭმელთან ერთად მიღებული შოვის № 1 წყაროს მინერალური წყალი იწვევს კუჭის წვენის გამოყოფის გაძლიერებას და მჟავობის მომატებას, ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიღებული კი — მჟავობის დაქვეითებას. შოვის მინერალური წყალი მოქმედებს კუჭის მოტორულ ფუნქციაზე. უზმოდ მიღების შემთხვევაში იგი იწვევს კუჭის მოტორული ფუნქციის გაძლიერებას, მსუბუქ საკვებთან ერთად მიღებისას კი — შენელებას.

ასეთი თვისების მქონე მინერალური წყალი შეიძლება დიდი წარმატებით გამოვიყენოთ კუჭ-ნაწლავის ისეთი ქრონიკული დაავადების დროს, რომელსაც თან სდევს კუჭის წვენის გამოყოფის მოშლა, ატონია, შეკრულობა და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, შოვის მინერალური წყლები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატ-კალციუმ-ნატრიუმიანი წყლები, რომელთაც ეკუთვნის № № 1, 2, და 11 წყაროები და ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატ-კალ-

ციუმიანი წყლები, რომელთაც ეკუთვნის №№ 3, 4, 5, 8, 10, 12 და 13 წყაროები.

პირველი ჯგუფის წყლები ნაჩვენებია კუჭ-ნაწლავის ქრონიკული კატარისა და ნაღვლის ბუშტის ანთებითი პროცესების დროს. თუ აღნიშნულ დაავადებებს თან სდევს კუჭის წვენის მჟავობის დაქვეითება, ეს წყლები, როგორც თავისუფალი ნახშირორჟანგის და სოდის საგრძნობი რაოდენობის შემცველი, მიიღება ჭამის დროს ან ჭაძამდე 10—15 წუთით ადრე, თითო ჩაის ჭიქა დღეში სამჯერ. მინერალური წყლის ასეთი წესით მიღება იწვევს კუჭის წვენის მჟავობის მომატებას, რადგან კუჭის წვენში არსებულ მარილმჟავასა და მინერალურ წყალში არსებულ ნატრიუმის ჰიდროკარბონატს შორის ქიმიური რეაქციის შედეგად წარმოიშვება სუფრის მარილი და ნახშირმჟავა გაზი; ეს უკანასკნელი აღიზიანებს კუჭის სეკრეტორულ აპარატს და იწვევს კუჭის წვენის გამოყოფის გაძლიერებასა და მისი მჟავობის მომატებას.

თუ ზემოჩამოთვლილ დაავადებებს თან სდევს კუჭის წვენის მომატებული მჟავობა, აღნიშნული მინერალური წყალი ავადმყოფს ეძლევა შემთბარი, უგაზო, ჭამის წინ ერთი საათით ადრე თითო ჩაის ჭიქა დღეში სამჯერ. მინერალური წყლის ასეთი წესით მიღება იწვევს კუჭის წვენის გამოყოფისა და მისი მჟავობის დაქვეითებას.

მეორე ჯგუფის წყლები იხმარება სასმელად ძირითადად სისხლნაკლულობის, ტუბერკულოზისა და საშარდე გზების დაავადების დროს.

შოვის მინერალური წყლები, როგორც ნახშირმჟავა გაზიანი წყლები, შეიძლება გამოვიყენოთ აბაზანების სახით გულის კუნთის მოღუნების, ნევრასთენიის, ნევრალგიური ტკივილებისა და საერთო სიმსუქნის დროს.

ზაფხულის სეზონში კურორტ შოვში მუშაობის დროს ჩვენი დაკვირვების ქვეშ გაიარა 500-მდე ავადმყოფმა, მათ შორის კუჭის წყლულით, კუჭის ქრონიკული კატარით და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთებით დაავადებულებმა. მინერალური წყლის გარდა, გამოყენებული იყო დიეტითა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობაც. ავადმყოფთა უმრავლესობა საგრძნობი გაუმჯობესებით გაეწერა სანატორიუმიდან.





მ. ლეჟავას დაკვირვებით, შოვის მინერალური წყალი ჩამოსხმის შემდეგ არ კარგავს ქიმიურ თვისებებს და ფიზიოლოგიურ მოქმედებას, რაც დადებითად წყვეტს ამ წყლის გამოყენების საკითხს კურორტის გარეშეც.


ნ. ამირაჯიბმა, ა. უშვერიძემ და ე. საბაშვილმა კურორტ შოვში დაკვირვება ჩაატარეს ფილტვების დახურული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულებზე. ავტორთა აზრით, კურორტ შოვის კლიმატი და საერთოდ, კურორტულ ფაქტორთა ერთობლიობა კარგად მოქმედებს ტუბერკულოზით ავადმყოფზე. ტუბერკულოზის სუბკომპენსირებული ფორმა თითქმის ყოველთვის გადადის კომპენსირებულ ფორმაში, უმჯობესდება სისხლის სურათი — საგრძნობლად მატულობს სისხლის წითელი ბურთულებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა. გარდა ამისა, აღვილი აქვს კალიუმისა და კალციუმის ნორმალიზაციას სისხლში (პ. ქავთარაძე, ა. უშვერიძე, ი. პავლოვა).

ამასვე ადასტურებს ო. ს. სულავას, ა. ს. აბულაძის, გ. ი. ჭირაქაძის მონაცემებიც. ამ ავტორთა დაკვირვებით, შოვის კლიმატი განსაკუთრებით კარგ გავლენას ახდენს ფილტვების კომპენსირებული ტუბერკულოზით დაავადებულებზე.

ჩვენი დაკვირვებითაც, დახურული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულები კარგად გრძნობენ თავს შოვში. ერთი თვის განმავლობაში მკურნალობის შემდეგ თითქმის ყველა იმატებს წონაში 4—7 კგ; კურორტზე ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე ავადმყოფს საგრძნობლად უუმჯობესდება მადა, ძილი, სუბფებრილური სიცხე ჩამოდის ნორმამდე, ქრება ოფლიანობა და სხვ.

არანაკლებ ეფექტს იძლევა შოვის პირობებში ბრონქადენიტით დაავადებულთა მკურნალობა. დაკვირვებებმა დაგვარწმუნა, რომ ბრონქადენიტით დაავადებულები მკურნალობის დასაწყისშივე აღნიშნავენ თვითგრძნობის და მადის გაუმჯობესებას.

ჩვენი დაკვირვებით, მალარიით დაავადებულები კარგად იტანენ შოვის კლიმატს. თუმცა მალარიით შეპყრობილ ზოგიერთ ავადმყოფს კურორტზე ჩამოსვლის პირველ ხანებ-



შოვი. „რკინის წყალი“.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ზუგდიდი. კურორტის სამმართველო (კურზალი).

ში დაავადება უმწვავედება, მაგრამ სპეციფიკური საშუალების მიცემისთანავე ავადმყოფი სწრაფად იწყებს გამოკეთებას.

ნ. ამირაჯიბის და ა. უშვერიძის დაკვირვებით, მალარიით დაავადებულებს სისხლში მომატებული რეტიკულოციტების რაოდენობა საგრძნობლად უმცირდებათ შოვში მკურნალობის მე-15—20 დღეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შოვის სამკურნალო ფაქტორთა დადებითი გავლენა ნევრასთენიით დაავადებულებზე.

კურორტ შოვში მუშაობის დროს არაერთხელ შევხვდით ნევრასთენიით დაავადებულებს, რომელთაც აწუხებდათ უძილობა, ძლიერი დებრესია, უხალისობა, მადის დაკარგვა და სხვ. შოვის გამამხნეველელი ჰაერის, ლამაზი, დამაწყნარებელი ბუნების, სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდებით მკურნალობის ზეგავლენით ეს ავადმყოფები გასაოცარი სისწრაფით იწყებდნენ გამოჯანმრთელებას: ავადმყოფები ხალისიანი ხდებოდნენ, უკეთ ეძინათ, ემატებოდათ მადა, წონაში იმატებდნენ და სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას შოვის ლამაზი მიდამოების დათვალიერებაში.

პ. ქავთარაძის და ს. ენუქიძის დაკვირვებით, განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა კურორტ შოვში მკურნალობა ფუნქციური ნევროზების ისეთ შემთხვევაში, როდესაც აღგილი აქვს ვაგოტონევროზის მოვლენებს; შედარებით ცუდად იტანენ შოვის კლიმატს ის ავადმყოფები, რომელთაც აღენიშნებათ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერების მოვლენები. ამ ავადმყოფებს აღელვებდა მდინარე ჭანჭახის ხმაური, გარშემორტყმული მთები თითქოს ახრჩობდა მათ და თავს მოუსვენრად გრძნობდნენ. აქედან გამომდინარე, ავტორები ასკვნიან, რომ მძიმე ფორმის ნევროზით დაავადებულთა მკურნალობა შოვში წინააღმდეგნაჩვენებია.

ჩვენი აზრით, შოვი ბავშვთა ერთ-ერთი საუკეთესო კურორტია. შოვში მუშაობის დროს ჩვენს დაკვირვებაში იმყოფებოდნენ მშრალი პლევრიტით, ბრონქიტით, მეორადი სისხლნაკლულობით, ლიმფადენიტით დაავადებული ბავშვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა უმრავლესობა დღითიდღე  
ჯანსაღდებოდა, იმატებდა წონაში 4—6 კილოგრამს და სხვა  
ანალოგიური შედეგი მიიღო საქართველოს კურორტო-  
ლოგიის ინსტიტუტის მიერ 1949 წ. შოვში გაგზავნილმა  
მეცნიერ-მუშაკთა ექსპედიციამ (ო. ს. სულავა, ლ. პ. ჯიქია,  
ი. მ. ლუკინა), რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. ი. ჭირაქა-  
ძე. ამ ავტორთა დაკვირვებით, შოვის კლიმატი და აერო-ჰე-  
ლიოთერაპია იმდენად კარგად მოქმედებს ტუბერკულოზური  
ბრონქადენიტიტით და ლიმფადენიტიტით დაავადებულ ბავშვებ-  
ზე, რომ იგი შეიძლება გადაიქცეს ლიმფური ჯირკვლების  
ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდების  
კურორტად.

ამგვარად, შოვში მკურნალობის ჩვენება საკმაოდ ფარ-  
თოა. კურორტის ერთ-ერთ უპირატესობას შეადგენს ის,  
რომ იქ შესაძლებელია ერთდროულად ჩატარდეს როგორც  
კლიმატით, ისე მინერალური წყლით მკურნალობა.

მაღალი მთის კურორტზე, კერძოდ შოვში მკურნალობის  
შედეგები დიდად არის დამოკიდებული კლიმატური ფაქტო-  
რების მიზანშეწონილი გამოყენებისაგან. მათგან პირველ რიგ-  
ში შევეხებით მზის სხივებით მკურნალობას.

მზის სხივები წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ სამკურნა-  
ლო საშუალებას. მზის სხივების მოქმედებით ძლიერდება  
ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის შედეგად დაგროვილ  
მავნე ნივთიერებათა გამოყოფა ოფლის საშუალებით, უმჯო-  
ბესდება ნივთიერებათა ცვლა, სხვადასხვა ორგანოს (თირკ-  
მლები, ფილტვები) მუშაობა, სისხლის მიმოქცევა და სხვ.  
მზის სხივები ამაგრებს ადამიანის ორგანიზმს, აძლიერებს  
მისი წინააღმდეგობის უნარს დაავადებისადმი.

მზის სხივებით უწყესო მკურნალობამ სარგებლობის მაგი-  
ერ შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს ადამიანის ჯანმრთე-  
ლობას. ამიტომ მზის აბაზანებით მკურნალობა უნდა ტარ-  
დებოდეს ექიმის დანიშვნით და მეთვალყურეობით.

ზოგიერთ ავადმყოფს მთის კურორტზე მოხვედრის შემ-  
დეგ პირველ დღეებში ეწყება მაჯის აჩქარება, უძილობა, მო-  
თენთილობა. ამიტომ პირველ ხანებში ავადმყოფს უნდა აეკ-

რძალოს მზისა და ჰაერის აბაზანების მიღება, სანამ არ მოხდება მისი აკლიმატიზაცია—ახალ კლიმატურ პირობებთან შეგუება. უნდა აღინიშნოს, რომ შოვში ავადმყოფთა აკლიმატიზაცია შედარებით ჩქარა ხდება—3—5 დღეში.

მზის აბაზანების მიღებამდე ავადმყოფს ენიშნება ჰაერის აბაზანები ყოველდღე 5—10 წუთის განმავლობაში. შემდეგ კი ავადმყოფის საერთო მდგომარეობის მიხედვით აბაზანის ხანგრძლიობას თანდათან ზრდიან 5—10 წუთით და ბოლოს აჰყავთ 1—1,5 საათამდე. ჰაერის აბაზანის ხანგრძლიობას განსაზღვრავს აგრეთვე ავადმყოფის ამტანობა. ზოგიერთი ცუდად იტანს ჰაერის აბაზანებს, გრძნობს შეურყოლებას. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ავადმყოფმა აწარმოოს მსუბუქი ვარჯიში.

მზის აბაზანის მიღება უკეთესია დილის საათებში (11 საათზე) და ნაშუადღევს—4-დან 6 საათამდე. დასაწყისში სხეულს ასხივებენ ნაწილ-ნაწილ: ჯერ ტერფებს, წვივებს, შემდეგ ბარძაყებს, მუცელს, გულმკერდს და ბოლოს ზემო კიდურებს.

სხეულის თითოეული ნაწილის დასხივების ხანგრძლიობა პირველ დღეს არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს. როდესაც ავადმყოფი მზეს შეეჩვევა, იწყებენ მთელი სხეულის დასხივებას, ხოლო აბაზანის ხანგრძლიობა თანდათან აჰყავთ 1—1,5 საათამდე.

მზის აბაზანების მიღების დროს ავადმყოფის თავი დაცული უნდა იყოს მზის სხივებისაგან ქოლგის საშუალებით, შეიძლება თეთრი ქსოვილის გადაფარებაც, თვალები კი—შებოლილი მინის დამცველი სათვალით.

მზის აბაზანები უნდა გაკეთდეს მსუბუქი საუზმის მიღებიდან 0,5—1 საათის შემდეგ. აბაზანის მიღების შემდეგ ავადმყოფმა უნდა მიიღოს შხაპი ან ტანზე გადაივლოს წყალი.

თავბრუ, თავის ტკივილი, გულისრევა და მოთენთილობა იმის მაჩვენებელია, რომ ავადმყოფი ცუდად იტანს მზით

მკურნალობას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მკურნალობის  
დროებით შეწყვეტა. მკურნალობის განახლების შემდეგ  
აბაზანის ხანგრძლიობა უნდა შემცირდეს.

1947 წელს შოვში აგებულ იქნა კეთილმოწყობილი აერო-  
სოლარიუმი, სადაც ტარდება სამკურნალო პროცედურები  
სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობით.





შოვი. № 2 სანატორიუმი.





შოვი. სასაძილო.



### მკურნალობის ჩვენებანი

1. ფილტვების ტუბერკულოზის ფიბროზული, დახურული (არაბაცილური) ფორმები;
2. მშრალი პლევრიტი;
3. ბრონქული ასთმის ზოგიერთი ფორმა;
4. ქრონიკული ბრონქიტი;
5. ფილტვების ემფიზემის მსუბუქი ფორმები;
6. ბრონქოექტაზია სისხლიანი ნახველის გარეშე;
7. რეკონვალესცენციის (გამოჯანმრთელების) პერიოდი, მეორადი სისხლნაკლულობა და ქლოროზი;
8. კუჭის ქრონიკული კატარი;
9. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულები;
10. ნევრასთენია (საშუალო და მსუბუქი ფორმა), ორგანიზმის საერთო გადაღლილობა;
11. ქრონიკული ქოლეცისტიტი;
12. ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება ნაღვლის გზების დახშობის გარეშე;
13. თირკმლის ფიალების, შარდის ბუშტისა და შარდსადენის ქრონიკული ანთებითი პროცესები;
14. მალარია (მაღალი ტემპერატურის გარეშე).

3. შოვი და უწერა

1. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი დეკომპენსაციის სტადიაში;
2. ფილტვების და ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზის ღია ფორმები;
3. ნევრასთენიისა და ისტერიის მძიმე ფორმები;
4. ჰიპერტონიული დაავადების მძიმე ფორმები;
5. კურორტებზე სამკურნალოდ წინააღმდეგნაჩვენები დაავადებები;

შენიშვნა: კურორტ შოვის კლიმატურ-ბალნეოლოგიური სამკურნალო ფაქტორების შემდგომი შესწავლა მოგვცემს ჩვენებათა გაფართოების საშუალებას.





როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შოვი თავისი კლიმატური თვისებებით ეკუთვნის მაღალი მთის კურორტთა ჯგუფს; შესანიშნავი სამკურნალო მინერალური წყლების სიუხვე სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში შოვი განვითარდება არ ამარტო როგორც კლიმატური, არამედ როგორც ბალნეოლოგიური კურორტი.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობა შოვის გენერალური დაგეგმვის პროექტიდან, რომელიც ითვალისწინებს დადი მუშაობის ჩატარებას კურორტის მშენებლობისა და კეთილმოწყობის მიზნით.

პროექტის მიხედვით, საკურორტო მშენებლობა გათვალისწინებულია შოვის ზემო ნაწილში, რადგან მას მრავალი უპირატესობა აქვს ქვემო ნაწილთან შედარებით. ამ ნაწილის ტერიტორია მდინარე ჭანჭახით, ბუბის წყლით და ჩხოქყურათი დაყოფილია სამ უბნად: ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ უბნებად.

ჩრდილო უბანი მოხერხებული რელიეფით და უხვი ინსოლაციით, საუკეთესო მიწის ნაკვეთებით და № 1, 2, 3 და 4 მინერალური წყაროებით გამოყოფილია სანატორიუმების და პანსიონატების მშენებლობისათვის. აქვე უნდა იყოს კულტურისა და დასვენების პარკი, ამ უბანში დაპროექტებულია 6 სანატორიუმის, 2 პანსიონატის და 5 სააგარაკო კოტეჯის მშენებლობა სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა დაცვით.

საერთოდ, ყველა შენობა დაგეგმილია გაშლილი, ლამაზი ხედის გათვალისწინებით.

კურორტის ცენტრალურ ნაწილში, ულამაზეს ადგილზე, დაპროექტებულია კურორტის პარკი, რომელიც გაფორმებული იქნება ლამაზი გზებით.

პროფილაქტიკურ უბანში გათვალისწინებულია 5 კოტეჯის, 2 დასასვენებელი სახლისა და 4 აგარაკის მშენებლობა ოჯახებიანი დამსვენებლებისათვის. დასასვენებელი სახლების წინ აგებული იქნება ლამაზი კოლონადა, გვერდებზე—კიოსკები. კოლონადა თავისი ღია ნაწილით მიმართული იქნება ჩრდილოეთისაკენ, რაც უზრუნველყოფს შუადღის სასიამოვნო ჩრდილს. კოლონადა ფართო კიბით დაუკავშირდება საბანაო აუზის ვესტიბულს. საბანაო აუზის გარშემო მდებარე ტერიტორია მთლიანად გამწვანებული იქნება.

კურორტზე მისასვლელი მთავარი გზა გათვალისწინებულია გამოყვანილ იქნეს ოსეთის სამხედრო გზატკეცილიდან; იგი დაიწყება ხიდივით, ხიდიდან კურორტამდე გაივლის გზახეივანი, კურორტის ტერიტორიაზე მოეწყობა მოედანი, სადაც აიგება საკურორტო სამმართველოს, სატრანსპორტოსადგურის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა შენობები.

კურორტის ქვემო ნაწილში, ამჟამად არსებული ტურბაზის რაიონში, დაპროექტებულია 2 შენობის აგება დამხმარე ნაგებობებით 300 ტურისტისათვის. ტურბაზის გარშემო გაშენებული იქნება პარკი.

კურორტის მომსახურე პერსონალისათვის გათვალისწინებულია ახალშენის მშენებლობა.

სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და აგარაკები დაუკავშირდებიან ერთმანეთს ლამაზი ხეივნებით. პროექტი ითვალისწინებს მდინარე ჭანჭახის და ბუბის წყლის ნაპირების ბუნებრივი სილამაზის შენარჩუნებას, გარდა იმ ადგილებისა, სადაც არსებობს წყლისაგან ნაპირების წალეკვის საშიშროება.

კურორტის ერთ-ერთი ადგილი ჭაობიანია, რაც სავსებით დაუშვებელია კურორტის ტერიტორიაზე, ამიტომ პროექტი ითვალისწინებს მის ამოშრობას სადრენაჟო არხების გაყვანით.

შოვის წყლების დებიტი შესაძლებელია საგრძნობლად გადიდდეს სათანადო ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარებით. გათვალისწინებულია ნახშირმჟავა გაზიანი წყლების საბაზანო შენობის აგება, რაც უზრუნველყოფს ამ წყლების ფართოდ გამოყენებას სამკურნალო მიზნით.

მინერალური წყლების მაღალი სამკურნალო თვისებები, რის გამოც შოვი დგას ისეთ ცნობილ კურორტთა რიგებში, როგორცაა ჟელეზნოვოდსკი, საირმე და ვილდუნგენი, ადგილობრივ გამოყენებასთან ერთად, მიზანშეწონილად ხდის მათ ექსპორტს; ამისათვის საჭირო იქნება შოვში აიგოს წყლის ჩამომსხმელი ქარხანა.

შოვის ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრეების ფართო გამოყენებისათვის გადამწყვეტია სამიმოსვლო გზების წესრიგში მოყვანა და ორგანიზებული საავტობუსო მიმოსვლის დაწესება.

სასურველია ზაფხულის თვეებში წარმოებდეს მოძრაობა მეორე მარშრუტითაც: თბილისი—გორი—სტალინირი—ქვაისა—ონი—უწერა—შოვი, რადგან ეს გზა უმოკლესია და თბილისიდან დილით გასული მგზავრი იმავე დღეს მივა შოვში.

კურორტის გენერალური დაგეგმვის პროექტით, ცხადია, არ ამოიწურება ის შესაძლებლობა, რომელიც გააჩნია შოვსა და მის მიდამოებს მომავალი საკურორტო მშენებლობის გაშლისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შოვთან ახლო მდებარე კურორტი უწერა მისი ღირსშესანიშნავი სამკურნალო მინერალური წყლებით და მშვენიერი კლიმატური პირობებით, რომლის განვითარება კურორტ შოვთან ერთად მოგვეცემდა ერთ მთლიან კლიმატურ-ბალნეოლოგიურ სამკურნალო კომბინატს.

ზოვის მინერალური წყლების ქიმიური ანალიზი დოცენტ შ. ს. შარაშენიძის 1939 წლის გამოკვლევების მიხედვით

	წყარო № 1 (ხის ქვეშ)				წყარო № 2			
		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი % %		გრამებში	მილიგ- რამექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი % %
დებიტი = დ/ლ (ლიტრი)	27000	—	—	—	12500	—	—	—
ტემპერატურა	11°	—	—	—	12,50	—	—	—
მკვრივი ნაშთი ლიტრზე 100°-ზე	2,708	—	—	—	2,108	—	—	—
კ ა თ ი ო ნ ე ბ ი:								
ნატრიუმი . . . . .	—	0,35987	15,6546	32,54	—	0,27935	12,152	32,46
კალიუმი . . . . .	—	0,03098	0,7931	1,66	—	0,0253	0,676	1,72
კალციუმი . . . . .	—	0,43647	21,7798	45,38	—	0,50402	15,1995	40,58
მაგნიუმი . . . . .	—	0,11276	9,2688	19,30	—	0,10287	8,4501	22,56
რკინა . . . . .	—	0,00804	0,2178	0,58	—	0,00710	0,2511	0,68
ალუმინი . . . . .	—	0,00196	0,2159	0,44	—	0,00680	0,7527	2,00
ჯ ა მ ი . . . . .	—	—	48,0010	100%	—	—	37,4560	100%
ა ნ ი ო ნ ე ბ ი:								
ჰიდროკარბონატი . . . . .	—	2,6438	43,3583	90,31	—	1,99336	32,7821	87,2
ქლორი . . . . .	—	0,0181	0,5104	1,06	—	0,0124	0,3496	0,21
სულფატი . . . . .	—	0,19867	4,1323	8,62	—	0,2079	4,3243	11,54
ჯ ა მ ი:	—	—	48,0010	100%	—	—	37,4560	100%
თავისუფალი . . . . .	2,215	—	—	—	1,905	—	—	—
NCl . . . . .	6,1	—	—	—	5,97	—	—	—



საქართველოს  
საერთაშორისო  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

	წყარო № 6				წყარო № 9			
		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი.	ექვივა- ლენტი % %		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი % %
დებიტი დ/ლ (ლიტრი) . . . . .	3500	—	—	—	—	—	—	—
ტემპერატურა . . . . .	12°	—	—	—	9,2%	—	—	—
მკვრივი ნაშთი								
110°-ზე ლიტრი . . . . .	0.7216	—	—	—	0,932	—	—	—
კათიონები:								
ნატრიუმი . . . . .	—	0,0247	1,0750	9,18	—	0,00380	0,2393	1,44
კალიუმი . . . . .	—	—	—	—	—	0,00211	0,0540	0,32
კალციუმი . . . . .	—	0,1088	5,4292	46,40	—	0,14338	7,547	42,76
მაგნიუმი . . . . .	—	0,0552	4,5375	38,76	—	0,10877	8,9408	53,44
რკინა . . . . .	—	0,002	0,716	0,60	—	კვალი	—	—
ალუმინი . . . . .	—	0,0053	0,5918	5,06	—	0,0310	0,3432	2,04
ჯამი: . . . . .	—	—	11,7051	100%	—	—	16,7320	100%
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი . . . . .	—	0,5°49	9,2643	79,14	—	0,770	12,6280	76,50
ქლორი . . . . .	—	0,0024	6,0676	0,58	—	0,004	0,1128	0,66
სულფატი . . . . .	—	0,1141	2,3732	20,28	—	0,19192	3,9912	23,84
ჯამი: . . . . .	—	—	11,7051	100%	—	—	16,7320	100%
თავისუფალი	0,475	—	—	—	—	—	—	—
NCl . . . . .	6,5	—	—	—	6,24	—	—	—



წყარო № 5 (აურორტის პოლიკლ. წინ)				
		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივალენ- ტი % %
დებიტი დ/ლ (ლიტრი) . . . . .	12500	—	—	—
ტემპერატურა . . . . .	9,5°	—	—	—
მკვრივი ნაშთი ლიტ. 110°-ზე . . . . .	147.12	—	—	—
კათიონები				
ნატრიუმი . . . . .	—	0,06530	2,3405	10,18
კალიუმი . . . . .	—	0,00515	0,1318	0,48
კალციუმი . . . . .	—	0,40300	20,1098	72,14
მაგნიუმი . . . . .	—	0,0462	4,0787	14,62
რკინა . . . . .	—	0,001116	0,0408	0,14
ალუმინი . . . . .	—	0,006158	0,6815	2,44
ჯამი: . . . . .	—	—	27.8831	100%
ანიონები				
ჰიდროკარბონატი . . . . .	—	1,6308	26,2441	97,48
ქლორი . . . . .	—	0,00758	0,2137	0,76
სულფატი . . . . .	—	0,003716	1,253	4,76
ჯამი . . . . .	—	—	27,8831	100%
თავისუფალი . . . . .	1,515	—	—	—
. . . . .	6,22	—	—	—


	წყარო № 13 (სოფ. გლოლაში ოსეთის სამხ. გზაზე).				წყარო № 7 (ე. წ. რადიაქტ. წყალი)			
	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი % %	ექვივალენ- ტი		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი % %	
დებიტი დ/ლ (ლიტრი) . . . . .	2300	—	—	—	—	—	—	—
ტემპერატურა . . . . .	12,5°	—	—	—	8,5°	—	—	—
მკვრივი ნაშთი 110°-ზე ლიტ. . . . .	1,152	—	—	—	0,920	—	—	—
კათიონები:								
ნატრიუმი . . . . .	—	0,03511	1,5273	7,32	—	0,00439	0,1910	1,12
კალიუმი . . . . .	—	0,0081	0,2072	1,00	—	0,00319	0,0816	4,48
კალციუმი . . . . .	—	0,32436	16,1855	77,66	—	0,14757	7,3647	43,54
მაგნიუმი . . . . .	—	0,03441	2,8285	13,58	—	0,10800	8,8770	52,50
რკინა . . . . .	—	0,0005	0,0199	0,10	—	კვალი	—	—
ალუმინი . . . . .	—	0,000656	0,0726	0,34	—	0,00361	0,3996	2,36
ჯამი . . . . .	—	—	10,8410	100 %	—	—	16,9129	100%
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი . . . . .	—	1,18128	19,3729	92,96	—	0,7764	12,7329	75,28
ქლორი . . . . .	—	0,01988	0,5606	2,68	—	0,0040	0,1126	0,66
სულფატი . . . . .	—	0,04363	0,9075	4,26	—	0,19554	4,0674	24,06
ჯამი . . . . .	—	—	28,8410	100 %	—	—	16,9129	100 %
თავისუფალი . . . . .	0,987	—	—	—	0,501	—	—	—
41 . . . . .	5,73	—	—	—	6,27	—	—	—

	წყარო № 3 (ბარისთავზე)				წყარო № 12 (გლოლაში, შიდასტეფანოვსკი)			
	გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი.	ექვივალენტი %		გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %	
დებიტი—დ/ლ (ლიტრი) . . . . .	9600	—	—	—	5500	—	—	—
ტემპერატურა . . . . .	10,2°	—	—	—	11°	—	—	—
მკვრივი ნაშთი								
ლიტ. 110°-ზე . . . . .	1,704	—	—	—	2,43	—	—	—
კათიონები:								
ნატრიუმი . . . . .	—	0,13125	5,7084	18,54	—	0,10918	4,7058	13,38
კალიუმი . . . . .	—	0,0051	0,1375	0,42	—	0,01145	0,2940	0,84
კალციუმი . . . . .	—	0,3118	15,5788	50,58	—	0,45867	2,876	67,90
მაგნიუმი . . . . .	—	0,039	8,405	27,78	—	0,06941	5,063	16,20
რკინა . . . . .	—	0,0052	0,1861	0,62	—	0,0067	0,2499	0,70
ალუმინი . . . . .	—	0,0058	0,6320	2,06	—	0,00314	0,3477	0,98
ჯამი: . . . . .	—	—	30,7563	100%	—	—	35,1893	100%
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი . . . . .	—	1,6046	26,3154	85,56	—	2,03514	33,3713	94,85
ქლორი . . . . .	—	0,079	0,227	0,72	—	0,0071	0,2002	0,58
სულფატი . . . . .	—	0,2023	4,283	13,72	—	0,07754	1,6128	4,58
ჯამი: . . . . .	—	—	30,7563	100%	—	—	35,1893	100%
თავისუფალი . . . . .	1,573	—	—	—	1,844	—	—	—
. . . . .	5,93	—	—	—	5,73	—	—	—


	წყარო № 4				წყარო № 0			
		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი % %		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი % %
ტემპერატურა . . . . .	8°	—	—	—	11	—	—	—
მკვრივი ნაშთი ლიტ.								
110°-ზე . . . . .	1,4171	—	—	—	1,411	—	—	—
კათიონები:								
ნატრიუმი . . . . .	—	0,09537	4,1485	19,96	—	0,09138	3,9750	14,30
კალიუმი . . . . .	—	0,015446	0,3957	1,42	—	0,01446	0,3714	1,34
კალციუმი . . . . .	—	0,38572	19,2575	69,44	—	0,38827	19,3756	69,72
მაგნიუმი . . . . .	—	0,03827	3,1458	11,34	—	0,04013	1,298	11,86
რკინა . . . . .	—	0,00558	0,1997	0,72	—	0,005584	0,1997	0,72
ალუმინი . . . . .	—	0,00529	0,5856	2,12	—	0,00519	0,5748	2,06
ჯამი . . . . .	—	—	27,7328	100%	—	27,7947	100%	—
ანიონები								
ჰიდროკარბონატი . . . . .	—	1,6412	26,9158	97,06	—	1,6435	26,9514	96,96
ქლორი . . . . .	—	0,0126	0,3553	1,28	—	0,01212	0,3417	1,22
სულფატი . . . . .	—	0,2216	0,4619	1,66	—	0,02412	0,5016	1,82
ჯამი . . . . .	—	—	27,7328	100%	—	—	27,7947	100%
თავისუფალი . . . . .	1,556	—	—	—	1,545	—	—	—
. . . . .	5,78	—	—	—	5,92	—	—	—



	წყარო № 11 (ტურბაზის ქვემოთ)				წყარო № 8 (ელსადგურის წინ)			
		გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი % %		გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი % %
დებიტი დ/დ (ლიტრი) . . . . .	4200	—	—	—	3000	—	—	—
ტემპერატურა . . . . .	9°	—	—	—	9°	—	—	—
მკვრავი ნაშთი ლიტრზე 110°-ზე . . . . .	2,475	—	—	—	1,6168	—	—	—
კათიონები:								
ნატრიუმი . . . . .	—	0,3941	17,0780	38,54	—	0,1347	5,8594	19,24
კალიუმი . . . . .	—	—	—	—	—	0,0053	0,1366	0,46
კალციუმი . . . . .	—	0,3260	16,2674	36,74	—	0,4031	20,1146	66,02
მაგნიუმი . . . . .	—	0,0825	6,7855	15,30	—	0,0370	3,9414	9,93
რკინა . . . . .	—	0,0099	0,3544	0,80	—	0,0100	0,358	1,18
ალუმინი . . . . .	—	0,0345	3,8204	8,62	—	0,0086	0,952	3,12
ჯამი . . . . .	—	44,3057	44,3057	100 %	—	—	30,4610	100 %
ჰიდროკარბონატი . . . . .	—	2,2598	37,0607	83,64	—	1,6348	26,8107	88,02
ქლორი . . . . .	—	0,0335	0,9447	2,14	—	0,0810	2,2842	7,50
სულფატი . . . . .	—	0,3029	6,3003	14,22	—	0,06579	1,3661	4,43
ჯამი . . . . .	—	—	44,2057	100 %	—	—	30,4610	100 %
თავისუფალი . . . . .	2,165	—	—	—	1,573	—	—	—
. . . . .	5,95	—	—	—	5,96	—	—	—



ქართული  
ეხმარა



# ისტორიული ცნობები



მინერალური წყლების სამკურნალო მიზნით გამოყენება საქართველოში გავრცელებულია ძველთაგან, მაგალითად, თბილისის გოგირდიან წყლებს უკვე იცნობდნენ X საუკუნეში.

უწერის შესახებ პირველ ცნობებს ვხვდებით ჯერ ცნობილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის, ხოლო შემდეგ აკადემიკოს გიულდენშტედტის შრომებში.

აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის ცნობით, გიულდენშტედტი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოვლინებული ყოფილა 1771 წ. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. თავისი მოგზაურობის აღწერილობაში გიულდენშტედტი ასახელებს უწერის ტუტოვან და რკანიან წყლებს. ამ წყლების ერთად არსებობას იგი თვლის უწერის დიდ ღირსებად, რადგან მრავალი ქრონიკული დაავადების დროს საჭიროა ამ წყლების მორიგეობით გამოყენება. გიულდენშტედტის ცნობით, უწერის ტუტოვან წყლებს ადგილობრივი მცხოვრებლები ხმარობენ უბრალო სასმელი წყლის მაგიერ და პურის მოსაზე-ლადაც კი.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „არჯევანის მთის თხემზე, ფარავნის ტბასთან მდებარე ვეძის, სიონის, კომის და უწერის წყლები ჯერ კიდევ ძველად იხმარებოდა კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს როგორც „მომდნობნი და მომნელბელნი“.

უწერაში „მეავე წყლების“ მახლობლად არის ადგილი „სასუნებელი მიწა“, საიდანაც ამოდის თავისებური სუნის გაზი. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ამ მიწის საყნოსავად მრავალი ავადმყოფი ჩამოდიოდა უწერაში (სამკურნალოდ).

ამ მიწის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ონის პირისპირ, რიონის ჩრდილო, მთის კალთათა შინა მალლა არს ძეგლვევი... ამას ზეით არს დაბა უწერა რიონის ორსავე კიდესა ზედა... აქავ არს მიწა, რომელსაც უწოდებენ სასუნებლად, რომელიც დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ეს უმეტეს ძალიანი, რამეთუ გადაფრენილი ფრინველი მასზე ჩამოვარდების სუნისაგან“.

უწერის სასუნებელი მიწა ნახსენები აქვს თავის შრომაში გიულდენშტედტსაც. იგი აღნიშნავს, რომ უწერის სამკურნალო წყლების გარშემო იის სუნი დგას, განსაკუთრებით, სადაც ორმოებია ამოთხრილი. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ორმოებიდან ლერწმის მილის საშუალებით ისუნთქავენ ამომავალ გაზს ქარებისა და ართრიტის დროს.








უშგურა. ინტერნატის საერთო ხედი.



ქართული  
ბიბლიოთეკა



უწყრა. ინტერნატის შენობა.



### მდებარეობა

კურორტი უწერა მდებარეობს ონის რაიონში, 1042 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. უწერა დაშორებულია ქალაქ ქუთაისიდან 130 კილომეტრით.

ოსეთის სამხედრო გზა გადაჭრის უწერას, გაივლის კურორტ შოვს, რომელიც უწერიდან დაშორებულია 16 კილომეტრით, შემდეგ გადაჭრის მამისონის ულელტეხილს და გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში.

კურორტი მოთავსებულია მდ. რიონის ხეობაში, შოდაკედელას ქედის სამხრეთ კალთებზე. მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე კურორტის ტერიტორია უერთდება წიწვიანი ტყეებით დაფარულ მთაგრეხილებს, რიონის მარჯვენა ნაპირზე კი კურორტი შემოსაზღვრულია წიწვიან-ფოთლოვანი ტყეებით. მოშორებით მოჩანს მუდამ თოვლით დაფარული მაღალი მწვერვალები.

### კლიმატი

მაღალი მდებარეობის მიუხედავად უწერა შედარებით დაცულია ქარებისაგან. ცივი ჰაერის მასებს აკავენს შოდაკედელას ქედი, რომელიც დაშორებულია უწერისაგან ჩრდილოეთის მიმართულებით 40—50 კმ.

კურორტი უწერა ხასიათდება მზის უხვი ნათებით, რაც წლის განმავლობაში უდრის 2200—2300 საათს, თოვლით



დაფარული მთის მწვერვალები კი, რომლებიც კურორტს  
ერთყმის მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ამდიდრებს ჰაერს  
ანარეკლი ულტრაიისფერი სხივებით. ზაფხულის დღეებში ჰა-  
ერის საშუალო ტემპერატურა უდრის  $18^{\circ}$ , წლიური საშუალო  
ტემპერატურა კი  $-9^{\circ}$ . კურორტ უწერაში ჰაერის მოძრაო-  
ბის სიჩქარე ზომიერია. კლიმატურ ფაქტორთა დადებითი  
მაჩვენებლები კიდევ უფრო ზრდის ამ კურორტის სამ-  
კურონალო მნიშვნელობას.





უწერის № 1 მინერალური წყლების პირველი ქიმიური ანალიზი შესრულებულია 1892 წ. შტაკმანის მიერ. შემდეგ ანალიზები ჩაატარეს: პეტრიაშვილმა (1895 წ.), კუპცისმა (1929, 1934 წ.), შალამბერიძემ (1930 წ.), შარაშენიძემ (1939 წ.) და ხუხიამ.

უწერაში აღრიცხულია 18-მდე მინერალური წყარო. ისინი განლაგებული არიან მდინარე რაონის ორივე მხარეზე და განსხვავდებიან ერთიმეორისაგან შემადგენლობით.

უწერის რაიონი განსაკუთრებით მდიდარია რკინიანი წყლებით, რომლებიც წალვერის რკინიანი წყლის ანალოგებია, მაგრამ უკანასკნელთან შედარებით მეტ რკინას შეიცავენ და უფრო დიდი საერთო მინერალიზაცია ახასიათებთ.

უწერის მთავარ მინერალურ წყაროს წარმოადგენს № 1 წყარო, ე. წ. გვერიტა, ანუ კუჭის წყალი (ყოფ. გამყრელიძის წყარო). იგი მდებარეობს მდინარე რაონის მარჯვენა ნაპირზე, ხვარის მთის ფერდობზე, 1080 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მინერალური წყალი ამოდის კლდის ნაპრალიდან და გროვდება გათლილი ქვის აუზში. წყარო მოთავსებულია ქვის შენობაში, რომლის გვერდით აგებულია ლამაზი ფარდული, წყლის ზილების შემდეგ ავადმყოფები ამ ფარდულში ისვენებენ.

უწერის № 1 წყაროს წყალი ეკუთვნის ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყლების ჯგუფს. თავისი ქიმიური შემადგენლობით ეს წყლები ბორჯომის (№ 1 წყარო), ვიშის, ნა-

ბელლავის და საირმის წყალთა ანალოგია, მაგრამ თავისი მინერალიზაციით მათზე მაღლა დგას. მაგალითად, თუ ბორჯომის № 1 წყაროს წყლის მინერალიზაცია უდრის 6,0 გ, ვიშის—7,4 გ, საირმის—9 გ, უწერის № 1 წყაროს წყალში მინერალიზაცია აღწევს 9,99 გ. გარდა ამისა, ხუხიას ანალიზებით დადგენილია, რომ უწერის № 1 წყაროს წყალი, მათგან განსხვავებით, შეიცავს სამკურნალო თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორცაა ბრომი და იოდი. უწერის მინერალური წყლის თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ იგი აქტიური რკინის საკმაო რაოდენობას (16 მგ 1 ლიტრში) შეიცავს.

№ 2 მინერალური წყაროც რიონის მარჯვენა ნაპირზეა ურმის მთის კალთაზე. აქ იგი ბალნეოლოგიური მიზნით იხმარება. წყაროზე აგებულია აბანო და იგი ძირითადად გამოიყენება აბაზანების სახით. მთის ფერდობიდან გამოსული და აუზში დაგროვილი მინერალური წყალი მილის საშუალებით გადადის დიდ ქვაბში, რომელიც სააბაზანო შენობაშია მოთავსებული. ქვაბში ხელოვნური გათბობის შემდეგ წყალი მილების საშუალებითვე ჩადის აბაზანაში.

№ 2 წყაროს წყალი ქიმიური შემადგენლობით წარმოადგენს ჰიდროკარბონატ-რკინა-კალციუმის წყალს, რაც იმით აიხსნება, რომ წყალი პირდაპირ გამოდის კირქვის ქანებიდან.

№ 3, 4 წყაროები მდებარეობს № 2 წყაროს მარჯვნივ, 20—30 მეტრის დაშორებით. ამ წყაროთა წყლის ქიმიური შემადგენლობა თითქმის ისეთივეა, როგორც № 2 წყაროს წყლისა, მაგრამ გაცილებით დაბალი მინერალიზაცია აქვს, რაც იმით აიხსნება, რომ სიღრმიდან ამოსვლის შემდეგ მის ზედაპირზე წყალი სხვადასხვა მიმართულებით იფანტება და ირევა მტკნარ წყალში. ამიტომ № 3 და № 4 წყაროს წყალს დაკარგული აქვს მინერალური წყლის თვისებები და წარმოადგენს მტკნარ სასმელ წყალს.

რიონის ორივე მხარეზე მდებარე უწერის დანარჩენი წყაროს წყლები (№№ 11, 12, 16, 17, 19 და სხვ.) მიეკუთვნება რკინიან წყლებს და მათ დაწვრილებით აღწერაზე აღარ შეეჭრებოდნენ.




ეროვნული  
ბიბლიოთეკა



უწერა. კურორტის ერთერთი კუთხე.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



უწერა. „მეფის წყალი“.





კურორტი უწერა, როგორც ვთქვით, მდიდარია არა მხოლოდ მინერალური წყლებით, არამედ ცივი, სასიამოვნო გემოს წყაროს და მდინარეების წყლებითაც.





კურორტ უწერის სამკურნალო ფაქტორთა შორის (მინერალური წყლები, კლიმატი) ძირითადი მნიშვნელობა აქვს მინერალურ წყლებს.

როგორც აღვნიშნეთ, უწერის მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენებას კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

ამ მინერალური წყლების მოქმედების შესწავლის პირველი ცდის ინიციატორია ივანე გამყრელიძე<sup>1</sup>, რომელსაც ამ წყლების შესამოწმებლად სპეციალური საექიმო კომისია გამოუწვევია და გვერითას წყაროზე აუგია ქვის აუზი და ფარდული ავადმყოფთა დასვენებისათვის. მისივე ინიციატივით ყოფილა აგებული აბაზანის ორი შენობა რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე წყაროებთან. ამის შემდეგ საგრძნობლად გაზრდილა უწერაში სამკურნალოდ ჩასულ ავადმყოფთა რიცხვი.

უწერის მინერალური წყლით დაინტერესებულა საფრანგეთის ერთერთი კომერციული საზოგადოება, რომელსაც 1913—14 წლებში მოუნდომებია უწერის წყაროების იჯარით აღება 45 წლის ვადით, წყლის ჩამოსხმა და საფრანგეთში ექსპორტი, მაგრამ წყლის მესაკუთრეს ი. გამყრელიძეს პატრიოტული მოსაზრებით უარი უთქვამს მისთვის. ეს

<sup>1</sup> ცნობილი პედაგოგი, თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის ყოფილი დირექტორი. გარდაიცვალა 1937 წ.

ფაქტიც აგრეთვე მიუთითებს უწერის მინერალური წყლების მნიშვნელობაზე.

უწერის მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობის ფართოდ შესწავლა და გეოლოგიური ძიებანი საქართველოში დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ პერიოდში მ. ტყემალაძის მიერ ექსპერიმენტულად იქნა შესწავლილი ამ წყლების გავლენა კუჭზე.

მ. ტყემალაძის ცდებით გამოირკვა, რომ გვერიტას (№ 1) წყაროს წყლის მიღება უზმოდ ჭამამდე ერთი საათით ადრე იწვევს კუჭის სეკრეციის და მუცლის შემცირებას, საჭმელთან ერთად მიღებული უწერის № 1 წყაროს წყალი კი აძლიერებს კუჭის სეკრეციას. აქედან გამომდინარე, მ. ტყემალაძე ასკვნის, რომ უწერის მინერალური წყალი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული წყლულოვანი დაავადებით და კუჭის მუცე კატარით შეპყრობილთა მკურნალობისათვის.

მ. ტყემალაძის ცდების შედეგები დაადასტურა გ. ადამიამ. ორი წლის განმავლობაში (1934 და 1935 წ. წ.) უწერაში მან დაკვირვება ჩაატარა კუჭ-ნაწლავთა სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფთა დიდ რიცხვზე და დარწმუნდა უწერის მინერალური წყლების მაღალ სამკურნალო ეფექტურობაში. გ. ადამიას დაკვირვებით, უწერის მინერალური წყლის უზმოდ მიღება იწვევს კუჭის მომატებული სეკრეციის და მუცლის დაქვეითებას.

ავტორმა უწერის წყალი გამოიყენა, შიგნით ნიღების გარდა, კუჭის ამორეცხვის მიზნითაც და დარწმუნდა, რომ იგი ხსნის ლორწოს. ამის გამო უწერის მინერალური წყალი საუცხოოდ მოქმედებს კუჭის მუცე კატარით და კუჭის წველის მაღალი მუცობით მიმდინარე წყლულოვანი დაავადების დროს.

ამავე ავტორის დაკვირვებით, არანაკლებ ეფექტს იძლევა უწერის მინერალური წყალი ღვიძლისა და ნაღვლის გზების ანთებითი პროცესების, ქრონიკული კოლიტის, საშარდე ორგანოების დაავადებისა და ბრონქიტის დროს.

უწერის № 2 წყაროს წყალს, რომელიც ქიმიური შემადგენლობით ეკუთვნის რკინა-ნახშირმუცა-ჰიდროკარბონატ-


კალციუმიანი წყლების ჯგუფს, ფართოდ იყენებენ აბაზანების სახით სახსრების ქრონიკული ანთებითი პროცესების, პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადების (ნევრალგია, ნევრიტი), ნევრასთენიის, ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადების და სხვ. დროს.

თუმცა უწერის მინერალური წყლების მოქმედება არ არის საკმარისად შესწავლილი, მაგრამ მისი დიდი მსგავსება ბორჯომისა და ვიშის მინერალურ წყლებთან თავისთავად მიუთითებს უწერის მინერალური წყლების ფართო გამოყენების შესაძლებლობაზე. მეორე მხრივ, უწერა ცნობილია ვილდუნგენის ტიპის ნახშირმჟავა-რკინა-ჰიდროკარბონატ-კალციუმიანი წყლებით, აგრეთვე საირმის და წალვერის წყლების ტიპის მინერალური წყლებით, ხოლო მათი დიდი სამკურნალო ეფექტი სისხლნაკლებობის დროს საყოველთაოდ ცნობილია.

სისხლნაკლებობისათვის რკინიანი წყლების გარდა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს მთის ჰავას.

ამგვარად, უწერაში მკურნალობის ჩვენება საკმაოდ ფართოა და მოიცავს როგორც კუჭ-ნაწლავის, ისე ღვიძლის და ნაღვლის გზების, საშარდე ორგანოების დაავადებებს, აგრეთვე მეორად სისხლნაკლებობას და სხვ.





უწერა. დამსვენებელთა სახლი.



**მკურნალობის ჩვენებანი**

I. კუჭ ნაწლავთა დაავადებანი: 1. კუჭის ქრონიკული კატარი მომატებული და ნორმალური მეავობით, 2. კუჭის და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადება (გამწვავების და სისხლდენის გარეშე), 3. ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი.

II. ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადებანი: 1. ნაღვლის გზებისა და ბუშტის ქრონიკული ანთება, 2. ღვიძლის კენჭოვანი დაავადება ნაღვლის გზების დახშობის გარეშე, 3. ღვიძლის ქრონიკული ანთებითი პროცესები.

III. საშარდე გზების დაავადებანი: 11 თირკმლის ფიალის, შარდსადინარის და შარდის ბუშტის ქრონიკული ანთებითი პროცესები (შარდის მეავე რეაქციის დროს).

IV. ჩამოთვლილ დაავადებათა სხვადასხვა თანამგზავრი დაავადება: ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი პლევრიტი, ქრონიკული ლიმფადენიტი, მეორადი სისხლნაკლულობა, ქლოროზი, მალარია, ნევრასთენიის მსუბუქი ფორმა, კუჭის ნევრალგია, ნევრიტი.

**წინააღმდეგ ჩვენებანი**

1. კუჭის და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადება გამწვავების პერიოდში, პილორუსის ორგანული სტენოზი კუჭის ევაკუაციური ფუნქციის მოშლით;
2. კუჭის ორგანული აქილია;
3. ამებური და წყლულოვანი კოლიტი;
4. ღვიძლის კენჭოვანი დაავადება ნაღვლის გზების დახშობის ძოვლენებით;



5. საერთო წინააღმდეგევენებანი ბალნეოლოგიურ და კლიმატურ კურორტზე მკურნალობისათვის.

უწყების № 1 წყაროს (გვერიტას) ქიმიური ანალიზი (ჩატარებულია რ. კუბცისის მიერ)

ტემპერატურა—11,0°

დებიტი დღე-ღამის განმავლობაში—400 ო ლ.

კათიონები	გ/ლ	მგ ექვივალ.	მგ ექვივ. % %
ამონიუმი . . . . .	—	—	—
ნატრიუმი და კალიუმი . . . . .	7,3499	102,03	82,94
კალციუმი . . . . .	0,2158	11, 27	9,14
ბარიუმი . . . . .	0,0002	0,003	—
მაგნიუმი . . . . .	0,1129	9,28	7,56
რკინა . . . . .	0,0160	0,57	0,46
მანგანუმი . . . . .	—	—	—
ლითიუმი . . . . .	—	—	—
სტრონციუმი . . . . .	—	—	—
ანიონები:			
ქლორი . . . . .	0,3900	10,990	8,92
ბრომი . . . . .	0,0003	0,003	—
იოდი . . . . .	0,0004	0,003	—
სულფატი . . . . .	0,0349	0,720	0,60
ჰიდროფოსფატი . . . . .	0,0031	0,160	0,04
აზოტი . . . . .	0,0045	0,070	0,04
ჰიდროკარბონატი . . . . .	6,7999	111,43	90,40
კაჟის მჟავა . . . . .	0,0360		
ალუმინიუმის ჟანგი . . . . .	0,0044		
საერთო მინერალიზაცია . . . . .	9,9773		
თავისუფალი ნახშირორჟანგი	1,1*		

\* შარაშენიძის და ხუხიას მიერ 1938 წელს ჩატარებული ანალიზების მიხედვით თავისუფალი ნახშირორჟანგის რაოდენობა გვერიტას წყალში უდრის 2,1 გრ/ლ

## შინაარსი

კურორტი შოვი	
ქუთაისიდან შოვამდე	5
ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა	11
კლიმატი	16
მინერალური წყლები	21
სამკურნალო მოქმედება	26
მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი	33
განვითარების პერსპექტივები	35
კურორტი უწერა	
ისტორიული ცნობები	47
ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა	49
მინერალური წყლები	51
სამკურნალო მოქმედება	54
მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი	57

---

რედაქტორი ს. ყიფიანი  
მხატვარი ო. ჯაფარიძე

სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 2,93  
ნაბეჭდო ფორმათა რაოდ. 5,0.



4

**Владимир Онисимович Гасвиани**

**КУРОРТЫ ШОВИ И УЦЕРА**

**(На грузинском языке)**

**Грузмедгиз**

**Тбилиси**

**1957**

7.170/229



ფანი 1 მან. 80 კაპ.